

მეტაფიციური ელემენტები ფლენერი ო'კონორის „მოსავალში“

სტუდენტის სახელი და გვარი: ნანა აბულაძე

პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა და უცხო ენათა ფილოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## სარჩევი

შესავალი.....	1
1. ლიტერატურის მიმოხილვა .....	2
2. თეორიული ჩარჩო და მეთოდი.....	4
3. მეტაფიციური ელემენტები ტექსტში .....	6
3.1. მოთხრობის კონტექსტი, შინაარსი და სტრუქტურა.....	6
3.2. მეტაფიციის ტიპები ტექსტში .....	7
3.3. თხრობის დონეების დარღვევა .....	9
დასკვნა .....	10
ილუსტრაციების ჩამონათვალი .....	11
ბიბლიოგრაფია.....	12

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მეტაფიქციური ელემენტების გამოყოფა და მათი ფუნქციების განზაზღვრა ფლენერი ო'კონორის მოთხრობა *მოსავალში*<sup>1</sup>. ეს საკითხი შემდეგი მიზეზის გამოა აქტუალური: ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ ეს მოთხრობა მეტაფიქციურია (McGurl 2007, 536; Pollack 2007, 553; Hubbs 2013), თუმცა მისი კვლევა ნარატოლოგიური კატეგორიების გამოყენებით ჯერ არავის უცდია. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა. ამასთან, ეს მოთხრობა ერთადერთი მეტაფიქციური ტექსტია ო'კონორის პროზაში. როგორც მარკ მაკგარლი აღნიშნავს, ფლენერი ო'კონორი არ არის ის ავტორი, რომელიც ავტორეფლექსიურ მეტაფიქციას წერს (McGurl 2007, 535). ის არ არის პოსტმოდერნისტი მწერალი, ის რეგიონალისტია, ხოლო ამ ლიტერატურული მიმდინარეობის მახასიათებლები რეალიზმთან უფრო ახლოს დგას (იქვე, 536). შესაბამისად, მეტაფიქციურობა ამ შემთხვევაში ავტორის ზოგადი პოეტიკის გათვალისწინებით ვერ აიხსნება და საჭიროა მისი ელემენტების ფუნქციების დადგენა ნარატოლოგიური კატეგორიების გამოყენებით.

ნაშრომი სამი თავისაგან შედგება: პირველ თავში მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, მეორე თავი ეთმობა თეორიულ წანამძღვრებსა და კვლევის მეთოდს, ხოლო მესამე თავი - უშუალოდ საკვლევ საკითხს.

---

<sup>1</sup> მოთხრობას ორიგინალში ჰქვია *The Crop*. როგორც რუთ ფენიკი აღნიშნავს, სათაური ირონიულია, რადგან მოთხრობის პროტაგონისტის მცდელობა, დაწეროს მოთხრობა უნაყოფოდ სრულდება და მისი და მისი ოჯახის წევრების ცხოვრება ზოგადად შორსაა რაიმე სახის „ნაყოფიერებისგან“ (Fennick 1985, 45). იმისათვის, რათა შეგვენარჩუნებინა ირონია, სათაური ვთარგმნეთ, როგორც *მოსავალი*.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

მოთხრობის თემასთან დაკავშირებით მკვლევრებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. რუთ ფენიკის აზრით, მოთხრობის ცენტრალური იდეა პროტაგონისტის, მის უილერტონის, წარუმატებლობაა პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში (Fennick 1985, 46). იგი საწერად ირჩევს თემებს, რომლებიც არანაირად არ უკავშირდება მის ცხოვრებას და რომელთა შესახებაც მან არაფერი იცის (იქვე, 48). ის ვერ ინარჩუნებს დისტანციას საკუთარ ნაწარმოებთან და არ შეუძლია, იყოს ობიექტური თავისი პერსონაჟებისადმი (იქვე, 48). მიუხედავად ამისა, იგი „სამუდამოდ ბრმა რჩება საკუთარი ნაკლის მიმართ და თავი სოციალური, ინტელექტუალური და არტისტული თვალსაზრისით, ყველა სიკეთით დაჯილდოებული ჰგონია“ (იქვე, 48; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.). ამრიგად, ამ მოთხრობაშიც არის საკუთარი თავის მოტყუების თემა, რომელიც ხშირად გვხვდება ოკონორის ადრეულ პროზაში (იქვე, 48). ფენიკი აღნიშნავს, რომ მოთხრობა, გარკვეულწილად, ავტობიოგრაფიულია, რადგან მის უილერტონი მწერლის იმ ტიპს განასახიერებს, რომელიც ოკონორისთვის მიუღებელი იყო (იქვე, 48-49).

ამ მოსაზრებას იზიარებს მაიკლ მაკგარლიც და წერს, რომ *მოსავალი* არის „ავტოგზორციზმი“ - ოკონორის მიერ საკუთარი თავისგან დილეთანტი მწერილს განდევნა (Mcgurl 2007, 538). მეორე მხრივ, ეს არის ალეგორია ავტორის თხრობაში ჩარევასა და თხრობის გაუპიროვნებაზე (იმპერსონალიზაციაზე) - მის უილერტონი საკუთარ მოთხრობაში ხვდება, როგორც პერსონაჟი, მაგრამ არ არის მისი მთხრობელი (იქვე, 541). ამასთან, მის უილერტონი, როგორც ავტორი, მოდერნისტული ტრადიციის მკითხველის სახეა (როგორც, მაგალითად, ემა ბოვარი), რომელიც ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს რეალობასა და ფანტაზიას (იქვე, 539). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ოკონორმა *მოსავალი* აიოვაში სწავლისას დაწერა (იქვე, 536). შესაბამისად, იგი მოთხრობაში ახალი კრიტიკის პრინციპს

ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც ასწავლიდნენ წერას და რომლის თანახმადაც თვითგამოხატვაზე მნიშვნელოვანი „მიუკერძოებლობა, ტექნიკა და დისციპლინა“ (იქვე, 542; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.).

აილინ პოლეკი არ ეთანხმება მაკგარლს და მიიჩნევს, რომ ოკონორისთვის მიუღებელია არა ავტობიოგრაფიულობა თავისთავად, არამედ „არტისტული დაუდევრობა“ (Pollack 1997, 552; თარგმანი ჩვენია -ნ.ა.), რომელიც ტექსტში არასაჭირო დეტალების სიმრავლეს ქმნის. *მოსავალი*, როგორც მეტაფიქცია, არის სატირა სწორედ ამ დაუდევრობაზე (იქვე, 553). მოთხრობა, რომელსაც მის უილერტონი წერს, მისი რეპრესირებული სექსუალური სურვილების მანიფესტაციაა, მაგრამ პრობლემა ეს არაა - უილერტონი ამ შემთხვევაში წერს იმაზე, რაც იცის, თუმცა ამას გაუცნობიერებლად აკეთებს, ე.ი. ვერ ხვდება, რომ სწორედ ესაა ის, რაც იცის და რაზეც უნდა წეროს (იქვე, 554). შესაბამისად, ამ მოთხრობაში ირონიზებულია არა მკითხველის სახე, რომელიც ვერ ასხვავებს ფანტაზიას რეალობისაგან ან მოთხრობლის სახე, რომელიც ერევა მოქმედების განვითარებაში, არამედ ახალი კრიტიკის პრინციპის დარღვევა, რომლის მიხედვითაც მწერალმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რაზე წერს და მოთხრობაში ყველაფერი მთავარ თემას შეუსაბამოს (იქვე, 554).

როგორც ჯოლინ ჰაბსი აღნიშნავს, ფემინისტი ლიტერატურათმცოდნეების აზრით, *მოსავალი* არის ფლენერი ოკონორის მცდელობა, გაემიჯნოს ქალ მწერლებთან დაკავშირებულ ლიტერატურულ ფორმებს; თუმცა მოთხრობაში, რომელსაც წერს მის უილერტონი, გარდა ქალური სენტიმენტალური პასტორალისა, სოციალური რეალიზმიც გვხვდება - ჟანრი, რომელშიც კაცი მწერლები დომინირებენ (Hubbs 2013). შესაბამისად, *The Crop* არის არა მხოლოდ საკუთარი თავისაგან დილექტანტი მწერლის განდევნა (როგორც ფიქრობდა მაკგარლი), არამედ ამ ჟანრების კრიტიკაც, რადგან ამ ჟანრებს არ შეუძლია, გადმოსცეს ღარიბი თეთრკანიანი ფერმერების გამოცდილება, რაზე წერაც ოკონორს სურს (იქვე, 1).

## 2. თეორიული ჩარჩო და მეთოდი

ტერმინი „მეტაფიქცია“ რობერტ შოულსმა შემოიტანა და ამ ტერმინით აღნიშნა მხატვრული ტექსტის რეფლექსიის უნარი საკუთარ სტრუქტურასა და მტკიცებებზე (O'Donnel 2012, სათაურის „Metafiction“ ქვეშ). ანსგარ ნიუნინგი ერთმანეთისგან განარჩევს მეტაფიქციასა და მეტანარაციას: მეტანარაცია ეწოდება მთხრობლის რეფლექსიას თხრობის აქტზე ან პროცესზე, ხოლო მეტაფიქცია აერთიანებს კომენტარებს ტექსტის ფიქციურობის, შეთხზულობის შესახებ (Nünning, Neumann 2012, ქვესათაურის „Definition“ ქვეშ). ვოლფის აზრით, მეტაფიქციის კატეგორიაშია ყველა ავტორეფლექსიური გამოთქმა თუ ტექსტის ელემენტი, რომელიც უბიძგებს მკითხველს გაიაზროს ნარატივის ტექსტუალურობა, შეთხზულობა, ხელოვნურობა (იქვე, ქვესათაურის „Explication“ ქვეშ). ვოლფი მეტაფიქციის სხვადასხვა ფორმებს განარჩევს : fictum-მეტაფიქცია (რომლის საგანიც თავად ტექსტია) და fictio-მეტაფიქცია (რომელის შემთხვევაშიც რეფერენციის ფენომენი შეთხზულობა, ხელოვნურობაა) (იქვე, ქვესათაურის „Explication“ ქვეშ). მისი აზრით, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მეტაფიქციური რეფლექსიის სუბიექტი მთხრობელია, თუ პერსონაჟი; თუ მეტაფიქციური ელემენტი იმპლიციტურად, ფორმალური საშუალებებით არის ტექსტში (მაგალითად, წინააღმდეგობების არსებობა, რაც ნარატიულ ილუზიას არღვევს) (იქვე, ქვესათაურის „History of The Concept and Its Study“ ქვეშ). აგრეთვე, გასათვალისწინებელია, მეტაფიქციურ კომენტარს ტექსტში ცენტრალური პოზიცია უჭირავს, თუ მარგინალური და რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული იგი მოთხრობილ ამბავთან (იქვე, ქვესათაურის „History of The Concept and Its Study“ ქვეშ). ამასთან, უნდა გავარკვიოთ ისიც, მეტაფიქციური პასაჟი მთელ ტექსტზე შეიცავს კომენტარს (ექსტენსიური მეტაფიქცია) თუ მის რომელიმე ნაწილზე (ნაწილობრივი მეტაფიქცია), ამ ტექსტის შესახებაა (შიგატექსტობრივი მეტაფიქცია), სხვა ტექსტის შესახებ (გარეტექსტობრივი მეტაფიქცია), თუ,

ზოგადად ლიტერატურას შეეხება (ზოგადი მეტაფიქცია) (იქვე, ქვესათაურის „History of The Concept and Its Study“ ქვეშ; ცაგარელი 2012, 61-62).

განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს მონიკა ფლადერნიკი: იგი მეტაფიქციად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რასაც ვოლფი ექსპლიციტურ მეტაფიქციას უწოდებს, ე.ი. ყველა ავტორეფლექსიურ ელემენტს, რომლებიც ამბის შეთხზულობას ეხება, ხოლო იმ ავტორეფლექსიურ ელემენტებს, რომლებიც დისკურსის შეთხზულობას მიემართება, მკვლევარი მეტანარატივის კატეგორიაში განიხილავს (Fludernik 2003, 28). განსხვავება ისაა, რომ მეტაფიქციური ელემენტები არღვევს ესთეტიკურ ილუზიას, რაც მეტანარატიული ელემენტების შემთხვევაში, აუცილებელი არაა (იქვე, 29). ამის გამო ფლადერნიკი მეტალექსისს მეტაფიქციასა და მეტანარატივს შორის ათავსებს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ეს ხერხი ყურადღებას ამახვილებს თავისივე ლოგიკურ შეუძლებლობაზე, იგი არ არღვევს ნარატიულ ილუზიას იმ თვალსაზრისით, როგორც ეს მეტაფიქციის შესახებ დაწერილ წიგნებში განიხილება (იქვე, 29). ფლადერნიკმა ცალკე კატეგორიად გამოყო არა-ნარატიული ავტორეფლექსიურობაც, რომელიც ვოლფის იმპლიციტურ მეტაფიქციას შეესატყვისება და რომლის მაგალითადაც მკვლევარს მოჰყავს: ვიზუალური პარატექსტუალური ელემენტები (ილუსტრაციები, ტიპოგრაფიული ექსპერიმენტები), სტრუქტურა, რომელშიც თხრობის დონეები დარღვეულია (მაგალითად, პერსონაჟები ავტორს მიმართავენ და ა.შ.) და მიზანაბიმი - „მოთხრობა მოთხრობაში, რომლის ამბავი ან თემა შინაარსობრივად იმეორებს ჩარჩო-მოთხრობის შინაარსს ან თემას“ (იქვე, 29; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.). წინამდებარე ნაშრომი ვოლფის კლასიფიკაციას ეყრდნობა. შესაბამისად, მეტალექსისსა და მიზანაბიმსაც მეტაფიქციურ ელემენტებად განვიხილავთ.

### 3. მეტაფიქციური ელემენტები ტექსტში

#### 3.1. მოთხრობის კონტექსტი, შინაარსი და სტრუქტურა

მოსავალი ფლენერი ო'კონორმა 1946 წლის თებერვლამდე დაწერა და თავის სამაგისტრო ნაშრომში შეიტანა (O'Connor 2012, სათაურის „Notes“ ქვეშ). მოთხრობა შეუმდგარ მწერალზე, მის უილერტონზეა, რომლის წერით გატაცებასაც მისი ოჯახის წევრები ირონიულად ეკიდებიან და რომელიც მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობს მოთხრობის დაწერას. ტექსტის უმეტესი ნაწილი სწორედ ეს მოთხრობაა. იგი მოიჯარე ფერმერ ლოტზეა, რომლის ცოლსაც მის უილერტონი კლავს და თავად ქორწინდება მასზე. ლოტი და მის უილერტონი ერთად შრომობენ, ბედნიერები არიან, გოგონაც შეეძინებათ, თუმცა დროულად ვერ ასწრებენ მოსავლის აღებას და ზუსტად მაშინ, როცა უნდა გადაწყვიტონ, რა ქნან, მის უილერტონს თავისი ოჯახის წევრი, ლუსია, წერას აწყვეტინებს და საყიდლებზე წასვლას სთხოვს. მის უილერტონი უხალისოდ თანხმდება. შინ დაბრუნებული გადაწყვეტს, რომ ეს ყველაფერი, რაც წარმოიდგინა, მოთხრობად მაინც არ ივარგებდა და დაწერას გადაიფიქრებს.

ამრიგად, ტექსტში თხრობის ორი დონეა, რომლებიც გრაფიკულად ასე გამოისახება:

პირველი დონის მოთხრობელი	ჩართული მოთხრობა (მოთხრობა, რომელსაც წერს მის უილერტონი)	პირველი დონის მოთხრობელი
-----------------------------	--	-----------------------------

ნახ.1 თხრობის დონეები

ჩართულ მოთხრობას თემატური ფუნქცია აქვს - კონტრასტს ქმნის მოთხრობა-ჩარჩოსთან, რადგან მის უილერტონს, რომელიც ორივეგან პროტაგონისტად გვევლინება, ჩართულ მოთხრობაში აქვს ყველაფერი ის, რასაც მოთხრობა-



ჩარჩოში მოკლებულია - აქვს ფერმა, ჰყავს ქმარი, შვილი და, რაც მთავარია, ის უყვართ<sup>2</sup> (O'Connor 2012, სათაურის „The Crop“ ქვეშ).

3.2. მეტაფიქციის ტიპები ტექსტში  
მოთხრობაში გვხვდება ზოგადი მეტაფიქციის მაგალითები, რომლებშიც პროტაგონისტი მსჯელობს იმაზე, რა გამოდგება მოთხრობის თემად:

თემა კი იმდენი იყო, მის უილერტონი ვერასოდეს წყვეტდა, რაზე დაეწერა. ეს ყოველთვის ყველაზე რთულია, როცა მოთხრობას წერო, - ყოველთვის ასე ამბობდა. [...] ნეტა, მცხოვრები კარგი თემაა? ჩაფიქრდა. [...] არა, მცხოვრებლები არ გამოდგება. საკმარისად ფერადოვანი არაა. არანაირი სოციალური დამაბულობა მცხოვრებებს არ უკავშირდება. [...] იქნებ მასწავლებლები? არა. [...] აბა, რა დროული თემა მასწავლებლებია. ეგ ხომ სოციალური პრობლემაა კი არ არის.

სოციალური პრობლემა. სოციალური პრობლემა. ჰმმმ. მოიჯარე ფერმერები! მის უილერტონს დიდად ახლო ურთიერთობა მოიჯარე ფერმერებთან არასოდეს ჰქონია, მაგრამ ასე განსაჯა, ძალიანაც მხატვრული თემააო. მოიჯარე ფერმერები ხომ სოციალური საკითხის სწორედ იმ დოზას შეიტანდნენ მოთხრობაში, რომელიც ასე ფასობდა იმ წრეებში, მის უილერტონი რომ იმედოვნებდა შეღწევას! (O'Connor 2012, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.).

მაკგარლი შენიშნავს, რომ პროტაგონისტი იმის დაწერას კი არ ცდილობს, რაც თავად იცის, არამედ იმის, რაც სახელოვნებო წრეში პოპულარულს გახდის (McGurl 2007, 537). იქვე განმარტავს, რომ როცა *მოსავალი* იწერებოდა, სოციალური მეცნიერებები სამხრეთის მოდერნიზაციისთვის აუცილებელ დისციპლინად მიიჩნეოდა, რასაც ეწინააღმდეგებოდნენ ო'კონორის მასწავლებლები აიოვაში (იქვე, 537). თუმცა ზოგადი მეტაფიქცია ამ მოთხრობაში მხოლოდ კონკრეტული პოპულარული თემის ირონიზებისთვის არ არის - ტექსტის ბოლოს მის უილერტონი გადაწყვეტს, რომ აჯობებს, ირლანდიელებზე

<sup>2</sup> ამაზე წერს ფენიკი: იგი აღნიშნავს, რომ *მოსავალი* არის მოთხრობა მოთხრობაში (Fennick 1985, 45), ხოლო მის უილერტონი, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში სახლის საქმეები არ ეხერხება, თავის დაწერილ მოთხრობაში ყველა საქმეს მშვენივრად უძღვება და თავს ახალგაზრდა და საყვარელ ცოლად და დედად წარმოაჩენს (იქვე, 48). პოლექიცი აღნიშნავს, რომ მის უილერტონი თავისი რეპრესირებული სურვილების შესახებ წერს: სიყვარული, ქორწინება, სექსუალური კმაყოფილება, შვილები (Pollack 2007, 554).

დაწეროს და არა -ფერმერებზე: „[...] ირლანდიელი ხალხი! ისინი ხომ სიცოცხლით სავსე არიან - წითურები, ფართო მხრებითა და დიდრონი, დაშვებული ულვაშებით.“ (O'Connor 2012, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.). აქ პროტაგონისტი ყველა ირლანდიელს ერთსა და იმავე თვისებას მიაწერს. ამგვარ განზოგადებას ვხვდებით მის მსჯელობაში მოიჯარე ფერმერების შესახებაც:

მაგრამ მოიჯარე ფერმერს, მან [მის უილერტონმა - ნ.ა.] ეს იცოდა, სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელიც იყო, ტალახში ეკოტრიალა. ერთხელ ერთი რომანი წაიკითხა, ეგეთ ხალხზე დაწერილი, რომელშიც ზუსტად ასეთ ცუდ რამეებს ჩადიოდნენ, თხრობის სამ მეოთხედში კი - ამაზე ბევრად უარესსაც (იქვე, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.).

შესაბამისად, ზოგადი მეტაფიქციით მოთხრობაში ირონიზებულია სტერეოტიპების არსებობა - ლიტერატურა წარმოჩენილია, როგორც ამ სტერეოტიპების გამავრცელებელი იარაღი (მის უილერტონმა რომანიდან იცის მოიჯარე ფერმერების შესახებ); ხოლო მოთხრობის ფინალში მინიშნებულია, რომ ლიტერატურის დანიშნულება ეს არ უნდა იყოს - მის უილერტონი ვერ ახერხებს ჩაფიქრებული მოთხრობის დაწერას.

გარდა ამისა, ტექსტში არის fictio-მეტაფიქცია: აღწერილია წერის პროცესი და ყურადღება გამახვილებულია არა მოთხრობაზე, რომელსაც მის უილერტონი წერს, არამედ თავად წერის აქტზე:

ორი „ლოტი“ ერთ აბზაცში. ეს ყურს ცუდად ხვდებოდა. [...] მის უილერტონმა „ლოტი“ გადახაზა და თავზე დააწერა: „ის“. [...] „ლოტ მოტანმა თავის ძაღლს დაუძახა. ძაღლმა ყურები ცქციტა [...]“ ორი „ძაღლია“, - გაიფიქრა მის უილერტონმა. ამმმ. ეგ ყურს მაინც ისე არ ხვდება, როგორც ორი „ლოტი“, - გადაწყვიტა ბოლოს (იქვე, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.).

შემდეგ აბზაცი პროტაგონისტის ამ, „ფონეტიკური ხელოვნებით“ გატაცების ირონიზებას ეთმობა. შესაბამისად, fictio-მეტაფიქცია ირონიული ეფექტის გასაძლიერებლად გამოიყენება.

### 3.3. თხრობის დონეების დარღვევა

ტექსტში ორჯერ არის მეტაღვთისი: როცა მის უილერტონი თავისი მოთხრობის პერსონაჟი ხდება და შემდეგ, როცა წერას გააწყვეტინებენ. მაკგარლის აზრით, ამგვარად ავტორის ჩარევა ირონიზებული (McGurl 2007, 539), ხოლო პოლეკი ფიქრობს, რომ ოკონორი ასე ახალი კრიტიკის პრინციპის დარღვევას დასცინის - მწერალმა უნდა იცოდეს, რას წერს, მის უილერტონი კი შემთხვევით (და არა - გააზრებულად) აშიშვლებს თავის პიროვნებას საკუთარ მოთხრობაში (Pollack 2007, 554). გარდა ირონიზებისა, ეს მეტაღვთისები ავტორისა და ტექსტის ურთიერთმიმართებასა და წერის აქტზე გვაფიქრებს. კერძოდ, ავტორი განაგებს პერსონაჟების ბედს - როდესაც მის უილერტონის ლოტის ცოლს მოკლავს, ლოტი ეუბნება: „უჰ, მადლობა. [...] სულ დროზე აგვარებ ხოლმე, ხო იცი.“ (O'Connor 2012, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.). მეორე მხრივ, წერისას ავტორისთვის იშლება ზღვარი მხატვრულ სამყაროსა და ემპირიულ რეალობას შორის - საკუთარი მოთხრობის ბოლოს მის უილერტონი ლოტს ეკითხება, კიდევ რა გავაკეთოო, - და შემდეგ არის მეტაღვთისი:

-საყიდლებზე არ მიდიხარ, უილი?

მის უილერტონმა ლოტი განზე გასწია: რა... რა მითხარი, ლუსია? - ენა დაება.

-საყიდლებზე არ მიდიხარ-მეთქი? ამ კვირაში ყოველ დილას მე დავდივარ და ახლა არ მცალა. (O'Connor 2012, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.)

ტექსტში არის მიზანაბიმიც: მის უილერტონი მაღაზიაში ხვდება წყვილს, რომელიც სიტყვა-სიტყვით ისეა აღწერილი, როგორც ლოტი და მისი ცოლი უილერტონის მოთხრობაში: ქალს „ყვითელი თმა, სქელი კოჭები და ტალახისფერი თვალები“ აქვს, ხოლო კაცი არის: „მაღალი, გალუული და ფართხუნატანსაცმლიანი“, „მხრებში მოხრილია“, „წითელი კისერი“ აქვს, „მოუქნელი ხელები“, „სწორი კბილები და სევდიანი თვალები“ (O'Connor 2012, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.). თუმცა წყვილს შორის არაა იმ კონფლიქტის არანაირი ნიშანი, მის უილერტონი რომ აღწერს თავის მოთხრობაში, რაც მას აღიზიანებს: „უხ, - შეაჟრჟოლა.“ (O'Connor 2012, სათაურის „The Crop“ ქვეშ; თარგმანი ჩვენია - ნ.ა.). შესაბამისად, მიზანაბიმი აქ კონტრასტის

გამოსაკვეთადაა, რომელიც არსებობს პროტაგონისტის აქტუალურ სამყაროსა და სურვილებს შორის.

#### დასკვნა

ფლენერი ოკონორის *მოსავალი* ნაწილობრივი მეტაფიქციაა, რადგან ტექსტში არის მონაკვეთები, რომლებიც თავისუფალია მეტაფიქციური ელემენტებისაგან (მაგალითად, პირველი აბზაცი, რომელშიც აღწერილია საუზმის სცენა). ამასთან მეტაფიქციური ელემენტები ტექსტში გამოყენებულია არა ნარატიული ილუზიის დასარღვევად, არამედ: ლიტერატურის დანიშნულებაზე მისანიშნებლად (ზოგადი მეტაფიქცია), ირონიული ეფექტის გასაძლიერებლად (fictio-mეტაფიქცია), ავტორისა და ტექსტის ურთიერთმიმართების გამოსაკვეთად (მეტალეფსისები). აგრეთვე, თუკი მეტალეფსისების გამოყენებით ნაჩვენებია, როგორ იშლება ზღვარი ორ სხვადასხვა რეალობას შორის (ე.ი. პროტაგონისტის აქტუალურ სამყაროსა და მის წარმოსახვას შორის), მიზანბიძგი, ამის საპირისპიროდ, ხაზს უსვამს ამ სამყაროებს შორის არსებულ განსხვავებას, წინააღმდეგობას.

პროტაგონისტს სურს, დაწეროს მოთხრობა თავის თანადროულ, აქტუალურ თემაზე, რომლის შესახებაც მხოლოდ სხვა წიგნიდან იცის, მაგრამ ამაზე ვერ წერს; ამის ნაცვლად ის გაუცნობიერებლად ცდილობს, „გადაწეროს“ საკუთარი ცხოვრება, რაც, ასევე წარუმატებლად სრულდება. ამრიგად, ტექსტის თემაა ლიტერატურისა და რეალობის ამბივალენტური ურთიერთმიმართება - ნაჩვენებია, რომ, ერთი მხრივ, ზღვარი მათ შორის პირობითია, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამყაროა.

ილუსტრაციების ჩამონათვალი

ნახაზი 1. თხრობის დონეები.....6

## ბიბლიოგრაფია

პირველადი წყაროები:

O'Connor, Flannery. 2012. The Crop. In: *The Complete Stories*. New York: Farrar, Straus and Giroux. <https://d2y1pz2y630308.cloudfront.net/2741/documents/2017/1/The-Complete-Stories-Flannery-OConnor.pdf> (25.02.2020);

სამეცნიერო ლიტერატურა:

O'Donnel, Patrick. 2012. Metafiction. In: *Routledge Encyclopedia of Narrative Theory*, Ed. David Herman, Manfred Jahn and Marie-Laure Ryan. Abingdon: Taylor & Francis e-Library. <https://www.routledge.com/Routledge-Encyclopedia-of-Narrative-Theory/Herman-Jahn-Ryan/p/book/9780415775120> (16.02.2020);

Fennick, Ruth. 1985. First Harvest: Flannery O'Connor's "The Crop". *The English Journal*, Vol. 79, No. 2 (February): 45-50. <https://www.jstor.org/stable/816266> (18.02.2020);

Fludernik, Monika. 2003. Metanarrative and Metafictional Commentary: From Metadiscursivity to Metanarration and Metafiction. *Poetica*, Vol. 35, No. 1/2: 1-39. <https://www.jstor.org/stable/43028318> (18.02.2020);

Hubbs, Jolene. 2013. The First Fruits of Literary Rebellion: Flannery O'Connor's "The Crop". *Journal of the Short Story in English*, 60 (Spring): 73-81. <http://journals.openedition.org/jsse/1349> (25.02.2020);

McGurl, Mark. 2007. Understanding Iowa: Flannery O'Connor, B.A., M.F.A. *American Literary History*, Vol. 19 Issue 2 (Summer): 527-545. <https://www.jstor.org/stable/4496997> (25.02.2020);

Nünning, Ansgar, and Birgit Neumann. 2012. Metanarration and Metafiction. In: *The Living Handbook of Narratology*. Hamburg: Hamburg University. <https://www.lhn.uni-hamburg.de/node/50.html> (25.02.2020);

Pollack, Eileen. 2007. Flannery O'Connor and the New Criticism: A Response To Mark McGurl. *American Literary History*, Vol. 19, No. 2 (Summer): 546-556. <https://www.jstor.org/stable/4496998> (18.02.2020);

ცაგარელი, ლევან. 2012. *თხრობის თეორია*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.